პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 248 (10642) | სამშაბათი, 23 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

განუწყვეტლივ ვამაღლოთ სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობა

დაიწყო ახალი სამეურნეო წელი მეცხოველეობაში. ყველა მშრომელს ახარებს ის, რომ საქართველოს რესპუბლიკამ შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 852 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, დაუღალავად შრომობენ, რომ მეტი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ ბევრგან გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობის გზაზე. მაგალითად, გურჯაანის რაიონმა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.127 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 885 კილოგრამისა, გარეუბნის რაიონმა — 1.435 კილოგრამი ნაცვლად 1.236 კილოგრამისა, საგარეჯოს რაიონმა — 1.313 კილოგრამი ნაცვლად 1.020 კილოგრამისა, წითელწყაროს რაიონმა — 1.256 კილოგრამი ნაცვლად 1.098 კილოგრამისა.

წველადობის წლიური გეგმები გადაჭარბებით შესრულეს აჭარის ასსრ რესპუბლიკამ, ხაშურის, კასპის, კაჭრეთის, თელავის, ახმეტის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, წალკის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, მახარაძის და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა.

გასული სამეურნეო წლის ანალიზი აგრეთვე მოწმობს, რომ ზოგან პირუტყვის კვებასა და მოვლას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, რის შედეგად დაბალია პროდუქტიულობა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ წველადობის წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 85,7 პროცენტით, ზნაურის რაიონმა — 89,1 პროცენტით, ხობის რაიონმა — 85,7 პროცენტით, წალენჯიხის რაიონმა — 79,3 პროცენტით, ჩხოროწყუს რაიონმა — 76,6 პროცენტით და სხვ.

სრულიად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ ცალკეულ რაიონებში დაუშვეს წველადობის შემცირება 1955 სამეურნეო წელთან შედარებით. წულუკიძის რაიონში 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის მიიღეს 602 კილოგრამი რძე, 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის — 524 კილოგრამი, ხოლო ზუგდიდის რაიონში შესაბამისად 740 და 695 კილოგრამი, ლენტეხის რაიონში 720 და 578 კილოგრამი. წველადობა შემცირდა აგრეთვე ლანჩხუთის, მესტიისა და სხვა რაიონებსა და ფოთში.

აღნიშნულ რაიონებში წველადობის დაბალი მაჩვენებლები იმის შედეგია, რომ საკვები ბაზის განვითარებას არ ექცეოდა ყურადღება, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები რატომღაც შეურიგდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს მეცხოველეობაში, რაც არასასურველი შედეგი გამოიღო.

ამ მწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები უნდა გაკეთონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო პირუტყვისათვის საკვების შექმნის შეუფასებლობას, განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მაღალი წველადობის მისაღწევად მთელი წლის განმავლობაში.

1 ოქტომბრიდან მეცხოველეობაში ძალაში შევიდა ახალი სამეურნეო წელი. ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ არ დავუშვათ გასული წლის ნაკლოვანებანი, ამთავითვე მთელი შეუპოვრობით ვიბრძოლოთ ყველა კოლმეურნეობაში მეტი რძის მისაღებად.

საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არის უდიდესი რეზერვები წველადობის გასადიდებლად. ამ რეზერვებს უნარიანად იყენებენ მოწინავე ადამიანები, რითაც ისინი საუკეთესო შედეგებს აღწევენ. რესპუბლიკას ჰყავს მეცხოველეობის საქმის ნამდვილი ოსტატები, ნოვატორები, რომლებიც უდიდეს მუშაობას ეწევიან საკოლმეურნეო დოვლათის გასამრავლებლად. ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი მ. ბალაძე გასულ სამეურნეო წელს 9 ძროხას უვლიდა და თვითეულზე საშუალოდ მიიღო 4.011 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა. გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. ქაჯაიამ 14 ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღო 3.283 კილოგრამი რძე. ძროხების მაღალი წველადობის მიღწევით სახელი გაითქვეს კოლმეურნეებმა ა. გარსევანოვამ, ს. ცინცაძემ, ს. თათეოსიანმა და ნ. ტაკაშვილმა — გარეუბნის რაიონიდან ს. ჯანაშვილმა — მცხეთის რაიონიდან, ე. პირმისაშვილმა — დუშეთის რაიონიდან, ე. ბერიძემ და გ. ვარშანიძემ — ბათუმის რაიონიდან, თ. თოდუამ — ზუგდიდის რაიონიდან. წარჩინებულ ადამიანთა დასახელება კიდევ შეიძლებოდა განგვეგრძო.

მიღწევები სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში გაცილებით მეტი იქნებოდა, მოწინავე კოლმეურნეობების, ფერმების და მწველავების გამოცდილების დანერგვას ყველგან ჯეროვანი ყურადღება რომ ექცეოდეს.

ზოგიერთი რაიონის მიერ წველადობის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი ისიც არის, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმე დღემდე არ გამხდარა უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოვალეობად, უამისოდ კი ახლა ვერ ავამაღლებთ ჩვენს მეურნეობას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი გამოცდილების შესწავლას. „კიდევ მეტი და კიდევ მეტი კონკრეტულობა, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — ადგილობრივი გამოცდილების, დეტალების, წვრილმანების, პრაქტიკის, საქმიანი გამოცდილების შესწავლაში, ღრმად ჩაწვდომა ნამდვილ ცხოვრებაში...“

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა მიაღწიონ იმას, რომ მეცხოველეობაში სანიმუშო მაგალითის გადმოღება ფართოდ წარმოებდეს ყველგან და სავალდებულო ხდებოდეს. ამას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, კოლმეურნეობათა და მთელი ხალხის ინტერესები. საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება მოსახლეობის მოთხოვნილებათა მეცხოველეობის პროდუქტებით სრულად დაკმაყოფილებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები ვალდებულნი არიან გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში, დარაზმონ მასები ახალი სამეურნეო წლის წველადობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მოწინავეთა ძვირფასი გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ზამთარში არ დაუშვან წველადობის შემცირება.

საქართველოს მშრომელები ენერგიულად ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის დღესასწაულის შესახვედრად. ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან მეცხოველეებიც. ეჭვი არ არის, რომ ისინი სასახელოდ შეასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოწინავეთა დონემდე აიყვანენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, ფერმებს და მიაღწევენ უფრო მეტ წარმატებებს მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მოსკოვში ჩამოვიდა ბელგიის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 22 ოქტომბერს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში ჩამოვიდნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ა. ვან აკერი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პოლ-ანრი სპააკი და მათი თანმხლები ოფიციალური პირები.

მათთან ერთად ჩამოვიდა ჟურნალისტთა ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენენ ბელგიის უდიდეს გაზეთებს.

ვნუკოვოს აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს ვან აკერს, საგარეო საქმეთა მინისტრს სპააკს შეხვდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, მ. ზ. საბუროვი, ფ. ტ. შეპილოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

შემხვდურთა შორის იყვნენ ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ვალტერ ლორიდანი და საელჩოს თანამშრომლები, მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში.

ბელგიის სახელმწიფო მოღვაწეთა პატივსაცემად აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ბელგიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

პრემიერ-მინისტრმა ა. ვან აკერმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კალინინგრადის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ კალინინგრადის ოლქის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს რძის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. 1955-1956 სამეურნეო წელს ოლქის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 2.507 კილოგრამი რძე და საბჭოთა მეურნეობებმა — 3.057 კილოგრამი და უზრუნველყვეს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კოლმეურნეობებში 184 ცენტნერი და საბჭოთა მეურნეობებში 216 ცენტნერი რძის წარმოება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რძის წარმოება ოლქის კოლმეურნეობებში გაორკეცდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ კალინინგრადის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა დ მტს-ების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კიდევ უფრო დიდი შეუპოვრობით იმუშავებენ, რათა შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი რძის, ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის ახალი დიდი ბაზის შექმნისათვის, მარცვლეულის წარმოების სერიოზული გადიდებისა და 1956 წელს სახელმწიფოსათვის ბილიარდი ფუთი პურის ჩაბარების ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის **უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოებულ იქნა **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წ. 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლის დაარსების შესახებ

1. დაარსდეს მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.
2. დამტკიცდეს დებულება „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლის შესახებ.
3. დამტკიცდეს აღწერილობა მედლისა „ყამირი მიწების ათვისებისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წ. 20 ოქტომბერი.

(დებულება და აღწერილობა მედლისა „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ ქვეყნდება მე-2 გვერდზე).

ავღანეთის მეფის წერილი კ. ვოროშილოვს,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

თქვენო აღმატებულებავ!

მაშინ, როცა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი სარდარ მუჰამედ დაუდი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მოწვევით მოგზაურობს ამ მეგობარ და მეზობელ ქვეყანაში, მინდა ვისარგებლო ამ კარგი შემთხვევით, რათა პირადად ჩემი და ავღანელი ხალხის სახელით კეთილი სურვილები და მეგობრული გრძნობები გამოვთქვა თქვენი აღმატებულებისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხების მიმართ.

იმედი მაქვს, რომ ორივე ქვეყნის საერთო მისწრაფებით მეგობრული კავშირისა და გულწრფელი ურთიერთობის დაცვისა და განმტკიცებისადმი, რომლებიც, საბედნიეროდ, დიდი ხნიდან არსებობს ავღანეთსა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხებს შორის, ეს კარგი შემთხვევა ხელს შეუწყობს ამ კარგი ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას.

ჯანმრთელობას გისურვებთ პირადად თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ბედნიერებას ვუსურვებ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხებს, მშვიდობიანობას ვუსურვებ კაცობრიობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის, უშიშროების, ხალხთა საყოველთაო მშვიდობიანობის და მეგობრობის საკეთილდღეოდ.

მუჰამედ ზაჰირი.

ქაბული, დელეგუმის სასახლე.
1335 წლის 22 მიზანი.

სადილი ავღანეთის პრემიერ-მინისტრის სარდარ მუჰამედ დაუდის პატივსაცემად

ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკის, ავღანეთის, ეგვიპტის რესპუბლიკის, ირანის, თურქეთის, სირიის რესპუბლიკის, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ტაილანდის, სუდანის რესპუბლიკის, ბირმის კავშირის, ინდონეზიის რესპუბლიკის, ეთიოპიის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, 19 ოქტომბერს სადილი გამართეს ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მისი უმაღლესობის სარდარ მუჰამედ დაუდის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი სარდარ მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები ავღანეთის სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, მ. გ. პერვუხინი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მახაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები და სხვები.

სადილის დროს სიტყვები წარმოთქვეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა ნგუენ ლონგ ბანგმა, ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა, ინდოეთის ელჩმა კ. პ. შ. მენონმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

პრაღაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია

ПРАГА, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით პრაღაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ბ. არისტოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ა. ა. ბულგაკოვი — უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი, ლ. მ. ვოინოვა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქალაქ მოსკოვის სოვეტსკი რაიონის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. დენისოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. დ. კაზმინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგე, ი. ტ. მარჩენკო — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ფ. გ. რეზნიჩენკო — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი, ვ. ა. ტელიაკოვსკი — პარტიის ჩკალოვის ოლქის ადამოვსკის რაიკომის პირველი მდივანი, მ. ი. ტიურინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგე, ი. ი. უდალცოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების სექტორის გამგის მოადგილე, ი. ვ. შიკინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე, ი. პ. ხრამკოვი — უზბეკეთის კომპარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და ნ. დ. ხრისტოფოროვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. გენდრიხი, ბ. კეფერი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი რ. ბარაკი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკები.

დელეგაცია გაეცნობა ჩეხოსლოვაკიის ცხოვრებას, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას და გაუზიარებს პარტიული მუშაობის გამოცდილებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი

19 ოქტომბერს სსრ კავშირის დროებითმა სანდოდ-მფლობელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. მ. ლედოვსკიმ ნასვლა — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი.

„მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 17 ოქტომბერი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ამ წერილში მანდა შევეხო საკითხს, რომელსაც გასაგები მიზეზებით ბევრი ყურადღება ექცევა, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. მხედველობაში მაქვს ატომური იარაღის და, კერძოდ, ამ იარაღის გამოცდის საკითხი.

ამ საკითხზე ჩვენ უკვე არაერთხელ გვქონდა შესაძლებლობა გაგვეზიარებინა აზრი როგორც თქვენთან პირადი შეხვედრისას ყეენევაში გასულ წელს, ისე შემდგომ მიწერ-მოწერაშიც. მაგრამ, რადგან დღემდე ვერ მოხერხდა რაიმე შეთანხმების მიღწევა ატომური იარაღის საკითხზე, მიზანშეწონილია კვლავ ვცადოთ ავწონ-დავწონოთ არსებული შესაძლებლობანი, რათა გადავდგათ ნაბიჯი წინ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევის მიმართულებით.

სწორედ ამან მაიძულა მოგმართოთ ამ წერილით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია, რომლის მსვლელობაში საერთაშორისო მნიშვნელობის ამა თუ იმ საკითხის, მათ შორის განიარაღების საკითხების განხილვას პოლემიკის ფორმა ეძლევა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ოფიციალურ პირთა გამოსვლებში აშკარად დამახინჯებულია საბჭოთა კავშირის პოლიტიკა აღნიშნულ საკითხებში. სამწუხაროდ, ეს განსაკუთრებით ეხება ბ-ნ დალესის გამოსვლებს, რომელიც არ ერიდება პირდაპირ გამოხდომებს საბჭოთა კავშირისა და მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა მიმექცია თქვენი ყურადღება იმ მნიშვნელობისათვის, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ანიჭებს განიარაღების პრობლემას და ამ პრობლემის შესახებ შეთანხმების გზების ძიებას. ამიტომ თქვენ გაიგებთ ჩვენს მისწრაფებას, რომ განიარაღების პრობლემის განხილვისას ჩვენ სრული სიცხადე გვქონდეს იმ პოზიციების შესახებ, რომლებიც უკავიათ ჩვენს მთავრობებს განიარაღების პრობლემაში, კერძოდ ატომის საკითხში.

ვფიქრობ, ბატონო პრეზიდენტო, დაეთანხმებით იმას, რომ ატომური იარაღის პრობლემა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემაა.

მე არ მჭირდება ვრცლად ვილაპარაკო იმაზე, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა და მოითხოვს ატომური იარაღის უთუო აკრძალვას, რადგან ახლანდელი მდგომარეობა, როცა სულ უფრო ძლიერდება ამ იარაღის გამალებული წარმოება, შეუთავსებელია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ატომური ომის წინაშე შაშისაგან ხალხთა განთავისუფლების ამოცანასთან. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იზრდება შეშფოთება არსებული გამალებული ატომური შეიარაღების შესაძლო შედეგების გამო.

მე შემიძლია მხოლოდ მწუხარება გამოვთქვა იმის გამო, რომ დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შესაძლოდ არ მიაჩნია შეუერთოს თავისი ღონისძიებანი ბევრი სხვა სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ატომური იარაღის აკრძალვა და ამ მიზნით შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების დადება. მაგრამ დავუშვათ, რომ რაღაც დროის განმავლობაში ჯერ კიდევ არ იქნება მიღწეული შეთანხმება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ არ უნდა მივიღოთ ღონისძიებანი, რათა გამოვნახოთ ამ საკითხის ესა თუ ის ნაწილობრივი გადაჭრა, რაც გააადვილებს მომავალ შეთანხმებას ეროვნული შეიარაღებიდან ატომური იარაღის სრული გამორიცხვის შესახებ, რათა ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ვფიქრობ, რომ ასეთი ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს, და მათი შედეგები ცოტათი როდია დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის პოზიციებზე.

ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე საჭირო შეთანხმების მიღწევამდე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ახლავე შეთანხმებულიყავით თუნდაც პირველ ნაბიჯზე, რომლის მიზანი იქნება ატომური იარაღის საკითხის — ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხის გადაჭრა, რასაც შეიცავდა ჩემი ამა წლის 11 სექტემბრის წერილი თქვენდამი.

ვფიქრობ, დაეთანხმებით იმასაც, რომ ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში არ წარმოიშობა რაიმე სერიოზული პრობლემა, დაკავშირებული ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი მეთვალყურეობასთან, რადგან ატომური და წყალბადის ბომბის ყოველი აფეთქება მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისას არ შეიძლება ისე, რომ იგი არ იქნეს ფიქსირებული სხვა ქვეყნებში. განა ასეთი შეთანხმების დარღვევის წინააღმდეგ საუკეთესო გარანტია არ იქნებოდა უკვე ის, რომ ატომგულის იარაღის ფარული გამოცდა შეუძლებელია და რომ, მაშასადამე, მთავრობას, რომელიც იკისრებს საქვეყნო ვალდებულებას შეწყვიტოს გამოცდა, არ შეეძლება მისი დარღვევა ისე, რომ არ ამხილოს თავისი თავი მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც საერთაშორისო შეთანხმების დამრღვევმა.

ჩვენ საკმაოდ ვიზიარებთ აზრს, რომელიც ამ ბოლო დროს გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, რომ საჭირო და შესაძლებელია დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე, და იმ დადებითი გავლენის შესახებ, რომელიც ამას ექნება მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

არ დაგიმალავთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემს ერთგვარ გაკვირვებას იმის გამო, რომ თქვენ ეჭვი გამოთქვით იმის შესახებ, ნამდვილად თანახმაა თუ არა საბჭოთა კავშირი შეწყვიტოს თავისი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ასეთი ეჭვისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. იგივე უნდა ვთქვა თქვენს განცხადებაზე იმის შესახებ, თითქოს შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა „ამერიკის ცალმხრივი აქტი“ იქნებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი ნაბიჯი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ცალმხრივი, რადგან საბჭოთა კავშირი თვითონ მოითხოვს საბჭოთა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის ამ ბოლო ეტაპზე ამ ბოლო ეტაპზე ამ ბოლო ეტაპზე

დებულება „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლის შესახებ

1. მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ ჯილდოვდებიან კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე კარგი მუშაობისათვის.

2. „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლით დასაჯილდოებლად წარდგენილ იქნებიან მუშაკები, რომლებმაც, როგორც წესი, სულ ცოტა ორი წელი იმუშავეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

3. „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლით დასაჯილდოებლად წარდგენილთა შესახებ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შედგება სიები ალფაბეტის მიხედვით, სადაც აღნიშნული იქნება მოცემული მუშაკის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა ან პროფესია, მუშაობის დაწყების თარიღი და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში ამ მუშაკის მონაწილეობის მოკლე დახასიათება. სიებს ხელს აწერენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეები.

4. „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლით დასაჯილდოებლად წარდგენილ მუშაკთა სიები განსახილველად გეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებსაც მათ შესახებ გამოაქვთ შესაბამისი გადაწყვეტილებანი და შეაქვთ წარდგინება დაჯილდოების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

5. „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლების გადასაცემად სიებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით განიხილავენ და ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

6. „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადასცემენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დაჯილდოებულს მედალთან ერთად გადაეცემა დაწესებული ფორმის მოწმობა დაჯილდოების შესახებ.

7. მედალს „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ იკეთებენ მკერდის მარცხენა მხარეზე და თუ დაჯილდოებულს აქვს ორდენები და სხვა მედლები, იკეთებს „დონბასის ქვანახშირის შახტების აღდგენისათვის“ მედლის შემდეგ.

8. მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ დაჯილდოებული თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულების მაგალითი უნდა იყოს.

მედლის „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ აღწერილობა

მედალს „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ აქვს 32 მილიმეტრი დიამეტრის მართი წრის ფორმა.

მედლის პირზე გამოსახულია: თვითმავალი კომბაინი მოსავლის აღების დროს, მინდვრის ჰორიზონტზე ელევატორი, მედლის ქვემო ნაწილში სამ სტრიქონად წარწერა „ყამირი მიწების ათვისებისათვის“. მედალს გარშემო აქვს ამოზნექილი კანტი.

მედლის მეორე მხარეზე გამოსახულია: ქვემოთ ნამგალი და ურო და მათგან გაშლილი მზის სხივები, ზემოთ ხუთკუთხა ვარსკვლავი, მარცხნივ ხორბლის თავთავი და მარჯვნივ სიმინდის ტაროები. მედალს გარშემო აქვს ამოზნექილი კანტი.

მედალი კეთდება ფერადი ლითონისაგან.

„ყამირი მიწების ათვისებისათვის“ მედლის ტანისამოსზე მისამაგრებლად მედალს აქვს ხუთკუთხა კალაპოტი.

კალაპოტი წარმოადგენს ხუთკუთხა ფირფიტას, რომლის ერთი კუთხე ძირს აღის დაშვებული. ფირფიტას ქვემო კუთხეში აქვს ფიგურიანი ჭრილი კალაპოტზე მედლის დასამაგრებლად. ფირფიტის უკანა მხარეზე არის ქინძისთავი ტანისამოსზე ფირფიტის დასამაგრებლად.

კალაპოტი დაფარულია მუქი მწვანე ფერის მუარის აბრეშუმის ლენტით, რომელსაც კიდეებზე აქვს ორი გრძივი ყვითელი ზოლი.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი სსრ კავშირში

19 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში მუჰამედ დაუდმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი ლენინის გორაზე. სტუმრებთან საუბარში უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ აცნობა მათ, თუ რა ფაკულტეტები აქვს უნივერსიტეტს, რამდენი სტუდენტი სწავლობს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებში. მან ილაპარაკა აგრეთვე სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაზე. რექტორმა აღნიშნა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობენ ბევრი უცხო ქვეყნის სტუდენტები.

საუბრის დამთავრების შემდეგ ი. გ. პეტროვსკიმ სტუმარს მიართვა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ორი ტომი და მედალი, რომელიც მოჭრილია უნივერსიტეტის დაარსების 200 წლისთავის აღსანიშნავად.

შემდეგ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი და მისი თანამგზავრები რექტორისა და სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის ვ. პ. ელიუტინის თანხლებით გაეცნენ უნივერსიტეტის სასწავლო შენობებს, კერძოდ, დაათვალიერეს მიწათმცოდნეობის მუზეუმის კოლექციები. ავღანეთის მთავრობის მეთაური და მისი თანამგზავრები იყვნენ აგრეთვე გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტების ლაბორატორიებში, საქტო დარბაზში, სასპორტო დარბაზებში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ოთახებში.

სტუდენტთა ერთ-ერთ სასტუმრო ოთახში გაიმართა ავღანეთის პრემიერ-მინისტრისა და დელეგაციის წევრების გულთბილი შეხვედრა უნივერსიტეტის ახალგაზრდობასთან. ბიოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტმა ნადეჟდა ჩიჟოვამ უნივერსიტეტის ახალგაზრდობის სახელით პრემიერ-მინისტრს ყვავილთა თაიგული მიართვა. მოსკოვისა და ქაბულის უნივერსიტეტების მეგობრობა, თქვა მან, ტრადიციულია. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლეთა შორის გვენახა ავღანელი სტუდენტებიც. მან პრემიერ-მინისტრს სთხოვა ავღანელ სტუდენტებს გადასცეს საბჭოთა სტუდენტობის სალამი.

უპასუხო რა მისალმებაზე, სარდარ მუჰამედ დაუდმა საბჭოთა ახალგაზრდობას გადასცა ავღანეთის სტუდენტებისა და ახალგაზრდობის მხურვალე სალამი. ჩვენი კონტაქტები, განაცხადა მან, გამოიწვევს ჩვენი ურთიერთობის უფრო მეტ განმტკიცებას. ავღანეთის მთავრობის მეთაურმა გამარჯვება უსურვა მეგობრობას ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

უნივერსიტეტის დათვალიერების შემდეგ მუჰამედ დაუდმა საპატიო მნახველთა შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა: „მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მქონდა მენახა ეს დიდებული შენობა, რომელიც მეცნიერების ცენტრია და მოწყობილია ყოველივე იმით, რაც საჭიროა სწავლისათვის“.

გამოთხოვებისას მუჰამედ დაუდმა თქვა, რომ სამუდამოდ დარჩება ხსოვნაში ნახვა ამ საინტერესო სასწავლებლისა, რომელიც დიდი პატივისცემის ღირსია.

• • •

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი სარდარ მუჰამედ დაუდი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება, 20 ოქტომბერს მოსკოვიდან სტალინგრადში გაემგზავრა.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს მუჰამედ დაუდს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე სსრ კავშირში ავღანეთის საელჩოს მრჩეველი აბდულ კაიუმი.

• • •

სტალინგრადი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სტალინგრადელები გულთბილად შეხვდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა ქვეყანაში, და მის თანამგზავრებს.

გმირმა ქალაქმა სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად სადღესასწაულო სახე მიიღო. ფრიალებს ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმები. ალისფერ ქსოვილებზე პუშტუ და რუსულ ენებზე წარწერილია სიტყვები: „სალამი მეგობარი ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს!“

დღის 12 საათზე აეროპორტში შეიკრიბა ქალაქის ასობით მცხოვრები. აქ მოვიდნენ სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ი. ს. პანკინი, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს, სტალინგრადის საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრსა და მის თანამგზავრებს. შესრულებულ იქნა ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ბავშვებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

სტალინგრადელთა სახელით პრემიერ-მინისტრს მიესალმა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ზემლიანსკი. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი პატივისცემით და სიმპათიით ეპყრობიან მამაც და შრომისმოყვარე ავღანელ ხალხს და დიდად აფასებენ ავღანეთის განუხრელ მისწრაფებას მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისადმი.

საპასუხო სიტყვაში სარდარ მუჰამედ დაუდმა თქვა:

— მე მსურს თავდაპირველად მადლობა გიძღვნათ გულთბილი მიღებისათვის, რაც თქვენ და სტალინგრადის მოსახლეობამ მოგვიწყეთ თქვენს ქალაქში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

სტალინგრადი მთელ მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ქალაქია. ამ ქალაქმა რუსეთის რევოლუციის პერიოდში კოლოსალური როლი შეასრულა, უკანასკნელი ომის დროს თავდაცვის პერიოდში თქვენმა ქალაქმა აგრეთვე დიდი როლი შეასრულა და შევიდა ისტორიაში. სტალინგრადის მოსახლეობის გმირობით მოპოვებული ეს დიდება იმის ღირსია, რომ იამაყოთ. იგი შევა ისტორიაში.

ძალიან მოხარული ვარ, განაგრძო სტუმარმა, რომ შესაძლებლობა მეძლევა ჩემი სახელით და ჩემი მეგობრების სახელით მოგილოცოთ ეს დიდება. ჩვენი ყოფნა სტალინგრადში, შესაძლებელია, ხანმოკლე იქნეს, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ თან წავიღებთ თქვენი ქალაქის მოგონებას. ერთხელ კიდევ სულით და გულით მადლობას გიძღვნით გულთბილი, გულწრფელი მიღებისათვის.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები პირები შეუდგნენ სტალინგრადის გაცნობას.

• • •

სტალინგრადი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით სტალინგრადელებმა გააცილეს ავღანეთის პრემიერ-მინისტრი სარდარ მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები პირები. აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ლოზუნგებით მეგობარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად, შეიკრიბნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენელნი.

საპატიო სტუმარს მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ნ. ზემლიანსკიმ. მან თქვა, რომ სტალინგრადელები მოხარული იყვნენ გაეცნოთ ავღანეთის პრემიერ-მინისტრისა და მისი თანამგზავრებისათვის თავიანთი ქალაქი, და წარმატება და კეთილდღეობა უსურვა პრემიერ-მინისტრს.

— ჩვენი ყოფნა სტალინგრადში ხანმოკლე, მაგრამ ფრიად საინტერესო იყო, — განაცხადა პასუხად მუჰამედ დაუდმა. — ჩვენ კარგი შთაბეჭდილება დაგვრჩა თქვენი ქალაქისაგან. ერთხელ კიდევ მადლობას გიძღვნით გულთბილი, გულწრფელი მიღებისათვის.

— ნახვამდის! — ამბობს რუსულად ავღანეთის პრემიერ-მინისტრი, ეთხოვება რა გამცილებლებს. გაისმის ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. თვითმფრინავი, რომელშიც ავღანელი სტუმრები სხედან, ჰაერში ადის და იღებს კურსს ბაქოსაკენ.

• • •

ბაქო, 21 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). აზერბაიჯანის დედაქალაქის მშრომელნი გულითადად შეხვდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს და მის თანმხლებ პირებს.

ბაქოს აეროდრომი სადღესასწაულოდ არის მორთული. ქარი აფრიალებს ავღანეთის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ალმებს. ავღანეთის მთავრობის მეთაურის შესახვედრად შეიკრიბნენ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. გ. რაგიმოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. მუსტაფაევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ს. ბაირამოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი დ. მ. მაგომაევი, ნ. ვ. სააკოვი, ა. ი. სულთანოვა, ბაქოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. ახმედოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის მინისტრები, მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

შემხვედრთა შორის იყვნენ აგრეთვე ამერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წარმომადგენლები.

თვითმფრინავი დაეშვა. მუჰამედ დაუდი მეგობრულად ართმევს ხელს შემხვედრთ. მოსწავლეებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. გაისმის ავღანეთის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. გ. რაგიმოვი გულთბილად მიესალმა ავღანეთის მთავრობის მეთაურს აზერბაიჯანის დედაქალაქში მისი ჩამოსვლის გამო.

საპასუხო სიტყვაში მუჰამედ დაუდმა თქვა:

— დიდად ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი დღეს თქვენს დედაქალაქში. ჩემი სახელით და ჩემი მეგობრების სახელით დიდ მადლობას გიძღვნით მეგობრული და გულწრფელი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიმართეთ.

მე პირველად ჩამოვედი თქვენს ქალაქში, მაგრამ ავღანელმა ხალხმა იცის, რომ აზერბაიჯანი აღმოსავლეთის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს აკავშირებს მრავალი წლის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობა, და ავღანელ ხალხს უაღრესად ახარებს ის წარმატებები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ თქვენს ქვეყანაში.

ჩემი სახელით და ჩემი მეგობრების სახელით ერთხელ კიდევ მადლობას გიძღვნით ჩვენი გულთბილი, გულწრფელი მიღებისათვის ბაქოში.

ავღანეთის მთავრობის მეთაური მიდის აეროდრომზე მყოფ ბაქოს მშრომელთა წარმომადგენლებთან და გულთბილად მიესალმება მათ. პასუხად გაისმის მქუხარე ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობას!“.

სტუმრები მანქანებში სხდებიან და ქალაქში მიდიან.

ცენტრალურ ქუჩებში ათასობით ბაქოელი მხურვალედ მიესალმებოდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრს და მის თანმხლებ პირებს.

დღის მეორე ნახევარში სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქი — ისინი იყვნენ კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, ჩაიარეს ცენტრალურ ქუჩებში, იყვნენ ახალშენებათა რაიონში. რესპუბლიკურ სტადიონზე, სადაც მივიდნენ ავღანეთის მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირები, მიმდინარეობდა ფეხბურთელთა მატჩი. მრავალი მაყურებელი ფეხზე ამდგარი მიესალმა პრემიერ-მინისტრს.

მუჰამედ დაუდი და მისი თანმხლები პირები იყვნენ აგრეთვე ნიზამის მუზეუმში.

ქალაქში მოგზაურობის დროს ავღანელ სტუმრებს ყველგან გულთბილად მიესალმებოდა ბაქოს ათასობით მცხოვრები.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს ახლდნენ აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. გ. რაგიმოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. მუსტაფაევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, არმიის გენერალი ი. ვ ტიულენევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ა. კოჩეტკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საღამოს ავღანელი სტუმრები იყვნენ აზერბაიჯანის აბუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. აქ მათ მოისმინეს ამიროვის ოპერა „სევილი“.

დარბაზში მყოფი მაყურებელნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ავღანეთის მთავრობის მეთაურსა და მის თანამგზავრებს.

პარტიული ცხოვრება

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაკენ

პარტიის რაიკომის პლენუმზე

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი — რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. პ. აბესაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს. მაგრამ ამ მხრივ რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მთლიანად ჯერ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა და რეზერვი.

ხშირია ტექნიკის მოცდენა, უქმი სვლა ერთი ფართობიდან მეორეზე, რაც იწვევს ტრაქტორის ნაწილების დაზიანებას, საწვავი მასალების გადახარჯვას. ყოველივე ეს ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას. განსაკუთრებით ცუდად იმუშავა მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ჯაფარიძე), რომელსაც გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ორჯერ მეტი დაუჯდა თვითეული ჰექტარის მოხვნა. შედარებით კარგად მუშაობენ ტრაქტორისტები გ. მუმლაძე, ვ. ტეფნაძე და სხვები, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირეს ჰექტარი ფართობის მოხვნის თვითღირებულება.

შემდეგ ამხ. აბესაძემ მოიყვანა კონკრეტული მაგალითები რაიონის კოლმეურნეობათა მუშაობიდან. სოფელ ქვაციხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ორჯერ უფრო ძვირი დაუჯდა ყოველი ცენტნერი სიმინდის მოყვანა მის მეზობელ სოფელ ვაჭევის კოლმეურნეობასთან შედარებით. სოფელ პერეგისში ჰექტარ ვენახზე მიიღეს საშუალოდ 12 ცენტნერი ყურძენი და მისი თვითღირებულება ექვსჯერ გაადიდეს. სოფელ სვერის კოლმეურნეობასთან შედარებით სოფელ თაბაგრების კოლმეურნეობაში ორჯერ შეამცირეს ყოველი ცენტნერი რძის თვითღირებულება და სხვ. მაგრამ იმის გამო, რომ მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, კვლავ დიდია რძის ნაწარმის თვითღირებულება.

შრომის ნაყოფიერების შემცირებასა და თვითღირებულების გაზრდას იწვევს აგრეთვე შრომის ცუდი ორგანიზაცია. დიდი კაცხის, რგანის, კაცხ-სალიეთის, ხრეითის, ბერკოსის და სხვა კოლმეურნეობებში ბევრი კოლმეურნეობა-ბოლოდან საზოგადოებრივ შრომას, რაც აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულებას.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, აგროწესების ზუსტად დაცვას. ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრები და სპეციალისტები სუსტად ერკვევიან საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკის კონკრეტულ საკითხებში. ნაკლებად იკითხება ლექციათა-მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიის საკითხებზე.

მტს-ის პარტიბიუროს მდივანმა შ. მაჭარაშვილმა პლენუმს უამბო, თუ რა მუშაობას ეწევა პარტორგანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, მაგრამ ჩვენს მუშაობაში, — თქვა მან, — ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. მანდატოის, ნიგოზეთის, დარკვეთის, სვერის კოლმეურნეობების ხელმძღვანელების დაუდევრობით ტრაქტორები ცდებიან. ტრაქტორების მოცდენას და ხარჯების გაზრდას ისიც იწვევს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩვენს კუთვნილ საწვავ მასალასა და სათადარიგო ნაწილებს აბაშაში ან ცხაკაიაში გამოვვიყოფს ხოლმე.

რაიკომის ინსტრუქტორმა მტს-ის ზონაში გ. ბიწაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ სვერის, თვალუფთის, გეზრულის და სხვა კოლმეურნეობებში ყურადღება არ ექცევა მეცნიერების მიღწევათა დანერგვას და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. კოლმეურნეობებში უგულებელყოფილია მოსავლიანობის ზრდის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის ორგანული სასუქი. პარტიული ორგანიზაციები და თვით რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი სუსტად ერკვევიან კონკრეტული ეკონომიკის საკითხებში, ღრმად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობების ეკონომიკას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სოფლების ქვაციხისა და ნავარძეთის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა დ. გოგოლაძემ და გ. ჭუმბურიძემ, აგრონომმა ბ. ხარაიძემ, სოფელ უსახელოს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა დ. გვეესიანმა, მტს-ის უფროსმა ზოოტექნიკოსმა ვ. ციუმამ და სხვებმა.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ჰ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბოლომდე აღმოვუხვრათ პიროვნების კულტის გადმონაშთები პროპაგანდისტულ მუშაობაში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 29 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებები ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტს.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. გვასალია რედაქციას ატყობინებს, რომ საქალაქო კომიტეტმა გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო.

საქალაქო კომიტეტმა დასახა და განახორციელა ღონისძიებანი პროპაგანდისტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციის მიზნით. სექტემბერსა და ოქტომბერში საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ძალებით მოეწყო ლექციები თემებზე: „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ“, „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევის აუცილებლობის შესახებ“ და სხვ. შეტანილ იქნა არსებითი ცვლილებები ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში. გაიმართა ლექტორთა ჯგუფის სექციების სხდომები და რეკომენდებული თემატიკის მიხედვით ლექტორებს გაუნაწილდათ ლექციები მოსამზადებლად.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ გადასინჯა მომხსენებელთა ჯგუფის შემადგენლობა და სათანადო ცვლილებები შეიტანა მასში. სექტემბერში პარტიულ ორგანიზაციებში, აგიტპუნქტებში წაკითხულ იქნა პოლიტიკური მოხსენებები თემაზე: „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევის აუცილებლობის შესახებ“.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და დასახა ღონისძიებანი გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამავე თვეში მოწვეულ იქნა აგიტატორთა საქალაქო შეკრება, რომელმაც განიხილა საკითხი მშრომელთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანების შესახებ.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ უკანასკნელ პერიოდში გააუმჯობესა ლექციური პროპაგანდა. გამგეობის სხდომაზე განიხილეს გაზეთ „კომუნისტის“ 29 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილი და დასახეს ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამერკავკასიის რესპუბლიკების უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია

დღეს რკინიგზელთა სახლში მუშაობას იწყებს ამერკავკასიის მომმე საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა VII სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც განხილულ იქნება ფიზიკა-მათემატიკის, ჰიდროტექნიკისა და წყალმომარაგების, სამშენებლო მექანიკისა და სამშენებლო კონსტრუქციების, გეოლოგიის, თბოტექნიკის, მსუბუქი მრეწველობის, ელექტროტექნიკის, მეტალურგიის, ტრანსპორტის და ტექნიკური მეცნიერების სხვადასხვა აქტუალური საკითხები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ინდუსტრიული ინსტიტუტის, აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საქართველოს ხ. მ. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ერევნის კ. მარქსის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. მოხსენებებით გამოვლენ პროფესორები: ა. იაკუბოვი, მ. ზახნაზაროვი, შ. აზიზბეკოვი, გ. შახტახტინსკი, ა. რუხაძე, ი. ბუაჩიძე, პ. ჰოლოვოვი, ვ. გურგენიძე; დოცენტები: ხ. გალუსტიანი, გ. აკოპიანი, ა. გორჩაკოვი და ს.-ვები.

პლენარულ სხდომაზე და სექციებში მოსმენილ იქნება 145 მოხსენება.

კონფერენცია ხელს შეუწყობს ამერკავკასიის რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელთა შორის გამოცდილების ურთიერთ გაზიარებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინირებას.

კრიტიკის ჩამხშობი უნდა დაისაჯოს

— 12 წელია ვმუშაობ ამ თანამდებობაზე. ახლა ინტრიგანებს სურთ გამაგდონ აქედან? ვერა, ვერ მოესწრებიან ამას. მეც მოვნახავ დამცველებს, — ხშირად აცხადებს დაბა აგარის (ქარელის რაიონი) საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ი. გოჩიაშვილი.

ი. გოჩიაშვილი მართლაც 12 წელია მუშაობს ამ თანამდებობაზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პატივისცემის ნაცვლად მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილება დაიმსახურა. ი. გოჩიაშვილი გატაცებულია პირადი ინტერესებით, არ ზრუნავს შექმნას საავადმყოფოში მკურნალობის ნორმალური პირობები. საავადმყოფო-პოლიკლინიკის ზოგიერთი მუშაკი ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს. საავადმყოფოში სისტემატურად ირღვევა მკურნალობის რეჟიმი, არ იცავენ სანიტარულ წესებს და სხვ.

აგარის საავადმყოფო-პოლიკლინიკაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის კრიტიკით ხშირად გამოდიოდა პარტიულ კრებებზე ექიმი ნ. ნოზაძე, რაც არ მოსწონდა მთავარ ექიმს ი. გოჩიაშვილს. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა პატიოსან ექიმს, რის გამო ნ. ნოზაძე იძულებული გახდა წერილობით მიემართა პარტიის ქარელის რაიკომისათვის.

საკითხი შეისწავლეს რაიკომის მეორე მდივანმა ს. პავლაძემ და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ა. ქუტიძემ. მათ დაადასტურეს, რომ ი. გოჩიაშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნ. ნოზაძეს. დადასტურდა ისიც, რომ ი. გოჩიაშვილმა რენტგენ-ლაბორანტის არარსებულ თანამდებობაზე დანიშნა თავისი მეუღლე ი. მხეიძე, რომელსაც საამისო განათლება არა აქვს. სინამდვილეში ი. მხეიძეს არც უმუშავნია, 1.100 მანეთი ხელფასი კი უკანონოდ მიიღო. ი. გოჩიაშვილმა ავადმყოფ გ. სხირტლაძის მიმართ გამოიჩინა უსულგულო დამოკიდებულება.

კომისიამ გამოარკვია, რომ ი. გოჩიაშვილმა მოქ. ნინო გათაშვილს მისცა ყალბი ცნობა ავადმყოფობის შესახებ. ი. გოჩიაშვილს სხვა დარღვევებიც აქვს, მაგალითად, იგი შეთავსებით ითვლება ექიმ-რენტგენოლოგის ნახევარ განაკვეთზე.

მიმდინარე წლის 23 ივნისს პარტიის ქარელის რაიკომმა განიხილა აგარის საავადმყოფო-პოლიკლინიკაში შექმნილი მდგომარეობა. სამწუხაროდ, საკითხი პრინციპულ სიმაღლეზე არ იქნა აყვანილი. კომისიის წინადადება ი. გოჩიაშვილის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ არ იქნა მიღებული. რაიკომის ბიუროს დადგენილების პირველ მუხლში ასეა ჩაწერილი: „აგარის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ი. გოჩიაშვილი ოირსია თანამდებობიდან მოიხსნის, მაგრამ რაიკომის ბიურო ღებულობს მხედველობაში, რომ იგი ახალგაზრდა ექიმია, კარგი სპეციალისტი, შეიძლება მისი სხვა უფრო სერიოზულ ობიექტზე გამოყენება“ (!).

საკვირველია, რა საჭირო იყო კრიტიკის ჩამხშობ გოჩიაშვილისათვის ასეთი რეკლამის მიცემა.

მოსალოდნელი იყო, რომ ი. გოჩიაშვილი ბიუროს დადგენილებიდან სათანადო დასკვნებს გააკეთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მან უფრო გააუარესა მუშაობა. ამასთან გააძლიერა ექიმ ნ. ნოზაძისა და სხვების შევიწროება. ნ. ნოზაძე იძულებული გახდა განცხადებით მიემართა „გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისათვის. პარტიის ქარელის რაიკომის კომისიამ კვლავ შეისწავლა აგარის საავადმყოფო-პოლიკლინიკის მუშაობა. კომისიის მუშაობის შედეგები რაიკომის ბიურომ ამა წლის 12 სექტემბერს განიხილა. ამჯერადაც ბიურომ დადასტურებულად ცნო ი. გოჩიაშვილისათვის წაყენებული ბრალდებები, აღნიშნა ისიც, რომ მან სათანადო დასკვნები არ გამოიტანა რაიკომის ბიუროს 23 ივნისის დადგენილებიდან, და ი. გოჩიაშვილი თანამდებობიდან მოხსნა. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ რაიკომის დადგენილება დღემდე სისრულეში არ არის მოყვანილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის ქარელის რაიკომი არასწორად მოიქცა ექიმ ნ. ნოზაძის მიმართ, მიიღო რა შემდეგი შინაარსის დადგენილება: „დაკმაყოფილდეს ექიმ ნოზაძის განცხადება მისი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და მიეთითოს, რომ გამოიტანოს საჭირო დასკვნა თავის უტაქტიკო მოქმედებიდან“. ჯერ-ერთი, ექიმ ნოზაძეს განთავისუფლების შესახებ განცხადება არ შეუტანია, მეორეც, მას არავითარი უტაქტობა არ ჩაუდენია.

აგარის საავადმყოფო-პოლიკლინიკაში შექმნილი მდგომარეობა ნაწილობრივ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვისაც არის ცნობილი. მაგრამ, როგორც ამბობენ, ახლა იქ ი. გოჩიაშვილის დამხმარენი მოქმედებენ.

ი. გოჩიაშვილი მკაცრად უნდა დაისაჯოს, დაბა აგარის საავადმყოფო-პოლიკლინიკაში კი საჭიროა შეიქმნას ავადმყოფთა მკურნალობის ნორმალური პირობები.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ცხვრის გადარეკა საზამთრო საძოვრებზე

ფრასის ძნელ უბანზე

ორჯონიკიძე, 21 ოქტომბერი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები მიემართებიან ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებისაკენ.

ცხვრის გადარეკა ძირითადად ორგანიზებულად მიმდინარეობს გადასარეკ ტრასზე, რომელიც 600 კილომეტრზეა გაკეთილი. ცეკავშირის მიერ მოწყობილია დატარებითი ვაჭრობა. ცხვარს აცილებენ ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები, ექიმები და რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები.

ტრასის ყველაზე საშიში უბანი ჯვრის უღელტეხილი უდანაკარგოდ გაიარა ლენინგორის, თიანეთის, ჯავის და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ფარების უმრავლესობამ. ამჟამად ფარები სტანიცა ალმორსკაიას უახლოვდებიან.

მიუხედავად დიდი თოვლისა, 20 ოქტომბერს უღელტეხილი წარმატებით გადალახეს დუშეთის რაიონის ხევსის, ციხისძირის, მთიულეთის კოლმეურნეობათა მწყემსებმა.

წუხელ უღელტეხილზე თოვდა, რამაც მგზავრობა გააძნელა. საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს სასწრაფო დახმარება, რათა გზა არ დაიკეტოს. დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა დაიჭირონ ცხვრის გადარეკა, რადგან მოსალოდნელია ამინდის გაუარესება.

* * *

ორჯონიკიძე, 22 ოქტომბერი. (სპეც. კორ.). განუწყვეტელ ნაკადად მიედინება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები დარიალის ვიწროებსა და ჩრდილოეთ ოსეთის გაშლილ ველებზე.

დუშეთის რაიონის მეცხვარეებმა წარმატებით გადალახეს ყველა სიძნელე. 20 და 21 ოქტომბერს უღელტეხილი უკან მოიტოვეს ახალციხის, ბაზალეთის, ქვეშეთის და სხვა კოლმეურნეობების ფარებმა. აღსანიშნავია, რომ ცხვრის გადარეკა ღამითაც არ შეწყვეტილა. დიდი სიძნელეები შეხვდათ გუდამაყრის, მაქართის და ცხვედიეთის კოლმეურნეობების მწყემსებს, რომლებიც გადასარეკ ტრასზე ქვენამთის გზით გადმოვიდნენ.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეცხვარეთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ნიკო წიკლაური და საშა ბეჭაური ხელმძღვანელობენ.

ამჟამად ცხვრის უკანასკნელი ფარები ჯვრის უღელტეხილის მისადგომებთან გუდაურის მახლობლად იმყოფებიან.

კაჭრეთის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა

კაჭრეთის რაიონმა 18 ოქტომბრისათვის 113,4 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარა 1.587 ტონა ყურძენი.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 400 ტონა ყურძენი ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით. (საქდესი).

მოსკოველი ახალგაზრდები რუსთავსა და წინანდალში

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მრავალი მშრომელი დახვდა მოსკოველ ახალგაზრდებს მეტალურგთა ქალაქ რუსთავში. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელსაც პირველად ეწვივნენ სტუმრები, საზეიმოდ იყო მორთული. ქარხნის შესასვლელთან ალისფერ ტილოებზე წარწერებია — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მოსკოველო მეგობრებო!“

...დელეგაციის წევრები ათვალიერებენ საკომპრესორო, ორგანული გაწმენდის, უანგბადის, სპილენძ-ამონიუმის, სინთეზისა და სხვა საამქროებს.

დელეგაციის წევრი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტი ვ. ზახაროვი დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს ქარხნის ტერიტორიას. მის მეხსიერებაში აღდგა ათი წლის წინანდელი დღეები...

— ეს მდამოები ჩემთვის ძვირფასი და მშობლიურია. აქ გავატარე ცხრაასორმოცდახუთი და ორმოცდაექვსი წლების დღეები. აქ მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ასე მცირე ხნის განმავლობაში შეიძლებოდა გაშენებულიყო ინდუსტრიული ქალაქი შესანიშნავი საცხოვრებელი ბინებით, კეთილმოწყობილი ქუჩებითა და სკვერებით.

მოსკოველი სტუმრები ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში არიან. ქარხნის საამქროების ყველა შესასვლელთან გამოფენილია მეგობრული ლოზუნგები. ათვალიერებენ კოქს-ქიმიურ, ხაგლინავ, მილსაგლინავ, ფურცელსაგლინავ, მარტენის და სხვა საამქროებს. მათ აინტერესებთ ქარხნის ახალგაზრდობის ცხოვრების ცალკეული მხარეები, მარტენის საამქროში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ცნობილი ახალგაზრდა მეფოლადე ა. ზარიძესთან.

— ჩვენს ქარხანას ათიოდე წლის ისტორია აქვს, — უამბობს მოსკოვის ახალგაზრდათა დელეგაციას ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ნ. გომელაური. — ქარხნის მზა პროდუქცია იგზავნება როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე სახალხო დემოკრატიისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში. ჩვენ გვყავს ისეთი მოწინავე ახალგაზრდა მუშები, რომელთა სახელებს კარგად იცნობენ რესპუბლიკაში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ესენი არიან ზარიძე, ხეროდინაშვილი, ნიკიტინა, პარასტაშვილი, ფანცულაია, კობახიძე, ზასლავსკი, ჩიქოვანი და სხვ.

გამომშვიდობებისას ქარხნის დირექტორს ნ. გომელაურს დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ტუკარინმა მიმართა სიტყვით და გადასცა საჩუქარი.

ამავე დღეს რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში სტუმრებთან შესახვედრად თავი მოიყარეს ქალაქის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, შრომის მოწინავე ადამიანებმა და მოსწავლეებმა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ებრალიძემ. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის სახელით სტუმრებს მიესალმა რ. ცინცაძე, რომელმაც მათ საჩუქრად გადასცა სტენდი მეტალურგიული ქარხნის გამოსახულებით და პროდუქციის ნიმუშებით. აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა კომკავშირელმა ნ. ბულანცოვამ.

დარბაზში ფანფარების ხმა გაისმა. შემოდიან რუსთავის პიონერები და მოსწავლეები. პიონერებმა სტუმრებს მიმართეს სიტყვით, მიართვეს საჩუქრები და ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

სტუმრებს მიესალმა რუმინელი ვასილი სავუ, რომელიც ქარხანაში იმყოფება პრაქტიკის მისალებად.

სიტყვა ეძლევა კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს, დელეგაციის ხელმძღვანელს ვ. სტუკარინს. მან რუსთავის მეტალურგებს მიმართა გულთბილი სიტყვით და გადასცა ვიმპელი კრემლის გამოსახულებით, ვერცხლის თასი და ფასიანი საჩუქრები.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ახალგაზრდათა დელეგაციის წევრებმა და რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

* * *

კვირას მრავალი ექსკურსანტი ეწვია სტუმრად წინანდალს. მათ შორის იყვნენ მოსკოველ ახალგაზრდათა დელეგაციის წევრებიც. სტუმრებმა დაათვალიერეს ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი, საბჭოთა მეურნეობა.

სახლ-მუზეუმის ეზოში სტუმრებმა ნახეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის კარის ეკლესია, სადაც დღევანდელი სტუმრების უფროსმა თანამემამულემ — ალექსანდრე გრიბოიედოვმა იქორწინა ნინო ჭავჭავაძესთან.

საბჭოთა მეურნეობის ზვრებში მოსწავლეები უყრძენს კრეფდნენ. მოსკოველები ამოუდგნენ მათ მბარში და დაბინდვამდე მათთან ერთად მუშაობდნენ.

განსაკუთრებით უხაროდა რთველში მონაწილეობის მიღება მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს ანა ბუტენოს. მან პირველად ნახა მტევნებით დახუნძლული ვაზი. აქვე ვაზებში მას ფოტოსურათი გადაუღო მოსკოვის ილიჩის სახელობის ქარხნის მუშამ ა. ზაიცევმა.

გვიან საღამოს ქმაყოფილი მოსკოველი სტუმრები, აკიდოებით დატვირთულნი, თბილისისაკენ გამოაცილეს კახელმა მევენახეებმა.

გუშინ მოსკოვის ახალგაზრდათა დელეგაცია ესტუმრა საქართველოს უძველეს დედაქალაქს მცხეთას და დაათვალიერა იქ ისტორიული ადგილები.

საღამოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში მოეწყო შეხვედრა მოსკოველ სტუმრებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, მოსწავლეებმა თბილისის პიონერთა სახლიდან და მოსკოველმა ახალგაზრდებმა.

ბ. ბახტურიძე.

სურათზე: მოსკოველი სტუმრები ს. ფრანკი (მარცხნივ), დ. სმირნოვი (მარჯვნივ) და ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ცინცაძე წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო კ. კრიმსკისა.

კონსულტაცია

როგორ მოვაწყოთ მიწისზედა დასილოსებული ბიბლიოთეკა

წლის ყველა დროში პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთარში ზაფხულის ანალოგიური კვების ორგანიზაციას. ეს კი ძირითადად საკვებ ულუფაში სილოსის შეტანით ხორციელდება.

ცნობილია, რომ მწვანე საკვები ერთადერთია, რომელიც შეიცავს პირუტყვის ორგანიზმისათვის საჭირო ადვილად მოსანელებელ ყველა ყუათიან ნივთიერებას და სხვადასხვა სახის ვიტამინებს ამა თუ იმ რაოდენობით.

მწვანე მცენარისათვის დამახასიათებელ, ფიზიოლოგიურად სასარგებლო ნივთიერებათა კომპლექსის სრული შენარჩუნების ერთადერთ მეთოდს მისი დასილოსება წარმოადგენს.

დასილოსებას ჩვეულებრივად აწარმოებენ ამ მიზნისათვის განკუთვნილ სპეციალურ კაპიტალურ სათავსებში (კოშკი, ორმო, სასილოსე ტრანშეა და სხვ.), მაგრამ შესაძლებელია ეს სამუშაო ვაწარმოოთ კაპიტალური სათავსების გარეშეც, ეგრეთწოდებულ მიწისზედა დასილოსების წესით. მართალია, ამ წესით დასილოსების დროს ნაწილობრივ დანაკარგთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს უკანასკნელი ინაზღაურდება მისი მოწყობის სიიაფისა და მიღებული სილოსის თვითღირებულების შემცირების გზით. ამ საკითხზე სპეციალური ცდები 1930-1940 წლებში ჩატარდა.

მიღებული დადებითი შედეგების მიუხედავად, დასილოსების ამ მეთოდმა, როგორც საკვების დაკონსერვების ერთ-ერთმა შესანიშნავმა წესმა, განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის, სადაც გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოს არის და ამიტომ იქ სპეციალური სათავსების აგება შეუძლებელია, პრაქტიკაში ნაკლები გავრცელება ჰპოვა.

მიწისზედა დასილოსების მეთოდი სასურველია გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც მეურნეობას არა აქვს საჭირო მოცულობის კაპიტალური სასილოსე ნაგებობანი. ამ წესით შეგვიძლია დავასილოსოთ ყველა სახის მასა. მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე იმ დროს, როცა მეურნეობას საჭირო რაოდენობით აქვს კაპიტალური სათავსები და სურს შექმნას სილოსის დამატებითი რესურსები. დასილოსების ეს მეთოდი საჭიროა გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნარჩენების (შაქრისა და ყაკვები ჭარხლის ფოჩი, კომბოსტოს ფოთოლი და სხვ.) დასაკონსერვებლად.

მიწისზედა დასილოსება შესაძლებელია მოეწყოს როგორც ყოველგვარი სათავსების გარეშე (გროვებად დასილოსება), ისე მსუბუქ-გადასატან სათავსებშიც. დასილოსების პროცესი ხდება უშუალოდ სასილოსე მასის არსებობის ადგილას და ამრიგად იგი ათავისუფლებს ტრანსპორტსა და მუშახელს ამ დროის სხვა გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად.

საკვების მიწისზედა დასილოსების ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდს გროვებად ან ზვინებად დასილოსება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სასილოსე მასად ძირითადად ისეთი წყლიანი საკვები იხმარება, როგორიც არის ჭარხლის ფოჩი, კომბოსტოს ფოთოლი და სხვ., რომელთა გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დღემდე სათანადო. ყურადღება არ ექცევა. ასეთი მასის დასილოსების დადებითი მხარეა ისიც, რომ მისი დაკონსერვება დაუჭრელი სახით წარმოებს, ამიტომ დაჭრისათვის საჭირო არ არის რაიმე დანადგარი და თავიდან აცილებულია ხარჯები. დაუჭრელი მასა ჯერ დატკეპნის, ხოლო შემდგომ საკუთარი ტენისა და სიმძიმის მოქმედებით იმდენად მჭიდროდ და მკვრივად ჯდება, რომ გამოდევნის გროვის ან ზვინის შიგნით არსებულ ჰაერს და, ამრიგად, ქმნის ანაერობულ პირობებს რძისმჟავა დუღილის პროცესისათვის.

გროვებად ან ზვინებად დასილოსების ტექნიკა შემდეგში მდგომარეობს: იმისდა მიხედვით, თუ დასილოსების როგორი ფორმა უნდათ (გროვებად თუ ზვინებად), დასილოსების ადგილზე თხრიან მრგვალი ან გრძელი ფორმის ორმოს 0,4-დან ერთ მეტრამდე სიღრმით, ან ასწორებენ და ტკეპნიან მიწის ზედაპირს 3-4 მეტრი სიგანით და 6 ან უფრო მეტი მეტრი სიგრძით. მიწის ზედაპირზე პირველ ფენად აწყობენ ნამჯას ან ჩალას, რის შემდეგ იწყებენ სასილოსე მასის ჩვეულებრივი წესით დასილოსებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასის რაც შეიძლება მჭიდროდ დატკეპნას. ამისათვის ზვინებად დასილოსების დროს სასურველია გამოვიყენოთ მუხლუხებიანი ტრაქტორი. დატკეპნილი მასა ეწყობა 1,5-2 მეტრ სიმაღლეზე. ამრიგად, გროვად დასილოსებული მასა იღებს კონუსის, ხოლო ზვინად დასილოსებული — პრიზმის ფორმას. დასილოსებული მასის მიწით დაუბუჟაანების თავიდან აცილების მიზნით მას ზემოდან აფარებენ ნამჯის თხელ ფენას, რის შემდეგ აყრიან 20-25 სანტიმეტრი სისქის მიწის ფენას ან ჯერ ნამჯას ლესავენ აზელილი თიხით 2 სანტიმეტრის სისქეზე, ხოლო შემდეგ აყრიან მიწას 20-25 სანტიმეტრზე. შეიძლება ასეც: მთელი გროვის ან ზვინის ზედაპირს ფარავენ ტოლის ერთი ფენით, რის შემდეგ აყრიან მიწის ფენას ზემოთ აღნიშნულ სისქეზე. სილოსის საფარი ქარისაგან რომ დაიცვას, ზვინს რამდენიმე ადგილას დაადებენ გადაბმულ ლატნებს, ან სხვა რაიმე სიმძიმეს (ქვებს). მას შემდეგ, რაც ყოველგვარი სამუშაო დამთავრდება, გროვას თუ ზვინს ირგვლივ უკეთებენ წვიმის წყლის გამტარ თხრილს. იმ შემთხვევაში, როცა გროვის ან ზვინის ზედაპირი სკდება, საჭიროა მისი შელესვა-შეკეთება. თუ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ზუსტად იქნება დაცული, დასილოსებული მასის შენახვა თვლობთა და წლობითაც არის შესაძლებელი.

მიწისზედა დასილოსების პრაქტიკაში ცნობილია აგრეთვე ისეთი მეთოდი, რომლის დროსაც იყენებენ ხისაგან გაკეთებულ გვერდითს ფარებს. ამ შემთხვევაში პირველ რიგში მზადდება საჭირო სიგანისა და სიგრძის მოედანი (სასურველია ცემენტისა), რის შემდეგ მოედნის სიგრძეზე ერთიმეორის პარალელურად აყენებენ ხის მოძრავ ფარებს, რომლებსაც რკინის სათანადო საკეტებით ამაგრებენ. ფარებს შორის მოთავსებულ მოედანზე თავისუფლად შედიან სატვირთო ავტომანქანები, ხოლო სასილოსე მასის დატკეპნას აწარმოებს მუხლუხებიანი ტრაქტორი, რომელსაც ფარებს შორის წინ და უკან თავისუფლად შეუძლია მოძრაობა. მას შემდეგ, რაც ზვინი სასურველ სიმაღლეზე (1,5-2 მეტრი) დაიდგმება, სათანადოდ დაიტკეპნება და თავი ისე დაედგმება, რომ ორმხრივ დაქანებული სახურავის ან ნახევრადმრგვალი ფორმა მიიღოს, წარმოებს მისი ჩვეულებრივი წესით გადახურვა. ხის დასაშლელი (მოძრავი) ფარები, რომლებიც ამ შემთხვევაში კედლების მაგივრობას ასრულებენ, ძალზე არ იხსნება, ხოლო სილოსის ხარჯვა მისი ერთ-ერთი ბოლოდან წარმოებს.



ამ შემთხვევაში, როცა მეურნეობას საერთოდ ხისაგან დამზადებული ფარები ან ხის მასალა არა აქვს, შესაძლებელია გვერდითი ფარების მოვალეობა შეასრულოს შიგნითა მხრიდან ალიზით გალესილმა, მარგილებზე გაკეთებულმა სიგრძივმა წნულმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ერთკედლიანი, ისე ორკედლიანიც.

წნულისაგან შეიძლებელია გაკეთდეს აგრეთვე ცილინდრული ფორმის მიწისზედა სასილოსე ნაგებობაც, რომელიც ალიზით შელესვისა და სასილოსე მასით შევსების შემდეგ სათანადო წესით უნდა დადგეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა არსებობს მიწისზედა დასილოსების ისეთი მეთოდი, რომლის დროსაც იყენებენ მოძრავ გადასატან კარკასებს ან დასაშლელ მრავალკუთხიან კოშკებს.

კარკასებისა და დასაშლელი კოშკების გამოყენებას ის უპირატესობა აქვს, რომ მათი მიტანა შესაძლებელია დასასილოსებელი მასის მდებარეობის ადგილზე, ამასთან დასილოსებიდან 10-12 დღის შემდეგ შესაძლოა ისინი გამოყენებულ იქნას განმეორებითი დასილოსებისათვის.

კარკასებისაგან ან დასაშლელი კოშკის სწორკუთხედის ფორმის ფარებისაგან უკედლო სილოსის კოშკის დადგმა შემდეგნაირად წარმოებს: კარგად დატკეპნილ ან ცემენტმოსხმულ სწორ ადგილზე იდგმება კარკასებისაგან გაკეთებული წრისებური ფორმის ან სწორკუთხოვანი ფარებისაგან შემდგარი მრავალკუთხედის ფორმის პირველი იარუსი, რომლის შიგნით მოთავსებული არე კარგად დატკეპნილი სასილოსე მასით ივსება, ამის შემდეგ მასზე იდგმება მეორე, მესამე იარუსი და ა. შ., მანამდე, სანამ სასურველი სიმაღლე არ იქნება მიღწეული. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს სასილოსე მასის კედლის ძირებში რაც შეიძლება მაგრად დატკეპნას, რათა შიგნითა მასა უზრუნველყოფილ გარეგან ჰაერის შეუვალობით. კოშკის სათანადო სიმაღლეზე აყვანის შემდეგ აწარმოებენ სილოსის მასის გადახურვას ჩვეულებრივი წესით. სილოსის ჩადებიდან 10-12 დღის შემდეგ, როცა მასა დაიწევს და დაჯდება, შესაძლოა კარკასები და ფარები მოიხსნას და განმეორებითი დასილოსებისათვის იქნას გამოყენებული.

ჩვენს რესპუბლიკაში შემოტანილია ოთხი ცალი დასაშლელი კოშკი, რომელთაგან ერთი უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობაშია და ეს უკანასკნელი მას ყოველწლიურად იყენებს უკედლო სასილოსე კოშკის დასადგმელად. დანარჩენი სამი კოშკის ბედი ჩვენთვის ცნობილი არ არის და, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ან ალარ არსებობენ ან არადანიშნულებისამებრ არიან გამოყენებული.

მიწისზედა დასილოსების სხვადასხვა ფორმები ფართოდ არის გამოყენებული ბელორუსიასა და ლატვიაში, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში. საჭიროა სათანადო ცდების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც გავრცელდეს საკვების შენახვის ეს სასარგებლო წესი.

ი. ხუციშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სურათებზე: 1. მოძრავი კარკასი; ა — ფარები, ბ — თამასები, გ—საკეტები, დ—ლარტყები, ე—მავთულის ან თოკის მარყუჟი, ვ—ხამაგრი თოკი, ზ—სასილოსე მასა; 2. გამზადებული უკედლო სასილოსე კოშკის საერთო ხედი.

ჩვენი საჭიროებანი

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ვაჭრობის დარგის მუშაკებს დიდი ამოცანები დაუსახა. მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს საქონელბრუნვა, მომხმარებელს უნდა მივაწოდოთ გაცილებით მეტი საქონელი, ვიდრე დღემდე ვაწოდებდით. ამ ამოცანების შესრულებისათვის, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისათვის საჭიროა დროზე აღმოიფხვრას ზოგიერთი ხელშემშლელი მიზეზები, სავაჭრო ქსელში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები.

თბილკვებვაჭრობის მეათე მაღაზია, რომელიც პუშკინის ქუჩაზეა, ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ობიექტია ჩვენს სისტემაში. მისი კოლექტივი ცდილობს რაც შეიძლება უკეთესად მოემსახუროს მომხმარებლებს, ყოველთვის შეასრულოს საქონლებრუნვის გეგმა. ამ მხრივ არც თუ ცუდი მდგომარეობა გვაქვს. საქონელბრუნვის როგორც თვიურ, ისე კვარტალურ გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ.

მაგრამ არის მთელი რიგი მოუგვარებელი საკითხები, რომლებიც გარკვეულად გვიშლის ხელს მუშაობაში. ჩვენი მაღაზია კვების პროდუქტებით ვაჭრობს, ამიტომ საქონლის მოვლა-შენახვა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ კი საამისო საშუალება ნაკლებად გაგვაჩნია. მაღაზიას არა აქვს პროდუქტების შესანახავი ადგილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ მაცივარს, თავის დროზე გვქონდა საკმაოდ დიდი ტევადობის საწყობი, მაგრამ იგი დროთა განმავლობაში დაზიანდა და, თუ კაპიტალური რემონტი არ გაუკეთდა, იქ საქონლის შენახვა არ შეიძლება. ეს საკითხი არაერთხელ დავაყენეთ თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელობის წინაშე. როგორც იქნა, მიმდინარე წლის იანვარში დირექციამ მიიღო დადგენილება საწყობის შეკეთების შესახებ. სამწუხაროდ, ამ დადგენილების შესასრულებლად დღემდე არავის უფიქრია. ეს იმას იწვევს, რომ საქონლის გაფუჭების შიშით დიდი რაოდენობით ვერ ვიღებთ საქონელს, თუმცა ასეთი შემთხვევებისაგან მაინც არა ვართ დაზღვეული: რამდენჯერმე გაგვიფუჭდა არაყანი, ხაჭო, თევზი.

მეორე ნაკლი ის არის, რომ ჩვენი სისტემის მაღაზიებში იშვიათად იპოვნით ისეთ პირველი მოთხოვნილების საქონელს, როგორიც არის ჩაი, საპმლის სოდა, სანთელი და სხვ. მაგალითად, ჩაი ჩვენს მაღაზიას დაახლოებით ერთი თვეა არ მიუღია, სანთელი კი წლობით არ არის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ საქონლის შოვნა არ შეიძლებოდეს, თუ უფრო მეტი მზრუნველობით მოეკიდებიან საქმეს თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელები.

აუცილებელია დახლის მუშაკები თავიანთი სისუფთავით, სიფაქიზით იზიდავდნენ მომხმარებლებს. მტკიცე სანიტარული წესრიგის დაცვა განსაკუთრებით საჭიროა იმ მაღაზიებში, რომლებიც კვების პროდუქტებით ვაჭრობენ. საამისო პირობების შესაქმნელად ნაკლებად ზრუნავს დირექცია. საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში საზოგადოებრივი კვების ქსელს საკუთარი სამრეცხაოები აქვს, რომლებიც მომსახურებას უწევენ სავაჭრო ქსელის მუშაკებს. ჩვენს პირობებში ასეთი სამრეცხაოების შექმნა თუ ძნელი იქნება, საქმე სხვანაირადაც შეიძლება მოგვარდეს. თბილკვებვაჭრობის დირექციას შეუძლია სათანადო ხელშეკრულება დადოს ჰიგიენის სახლთან, რომელიც დიდი ბრუნვის მქონე მაღაზიების დახლს მუშაკებს მაინც გაუწევს მომსახურებას.

სასურველია მაღაზიაში მეტი რაოდენობით იქნას შემოზიდული შეფუთული საქონელი, რადგან ეს უფრო მოსახერხებელია ვაჭრობისათვის და ამავე დროს გამართლებულია კულტურული და ჰიგიენური თვალსაზრისითაც. ამ საკითხის მოგვარება შეიძლება. მხოლოდ საჭიროა თბილკვებვაჭრობის სავაჭრო განყოფილებამ მეტი დაინტერესება გამოიჩინოს.

ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა გამოსწორება ხელს შეგვიწყობს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაში, საქონელბრუნვის გეგმის წარმატებით შესრულებაში.

ვ. მჭედლიშვილი,
მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 10 მაღაზიის დირექტორი.

დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

ვარშავა, 21 ოქტომბერი. (საკდესი). 19 ოქტომბერს გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი. პლენუმმა პირველ დღეს კოოპტაციით შეიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ამხანაგები ვ. გომულკა, მ. სპიხალსკი, ი. ლოგა-სოვინსკი და ზ. კლიშკო.

20 ოქტომბერს საღამოს გამოქვეყნდა შემდეგი ოფიციალური ცნობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმდინარეობის შესახებ:

„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შაბათის სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე. ამხ. ა. ზავადსკიმ გააკრა პლენუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოლაპარაკების მიმდინარეობა. ამხ. ზავადსკის ინფორმაციის შემდეგ პლენუმმა დაიწყო დისკუსია იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც წარადგინა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. პირველმა ილაპარაკა ამხ. ვლადისლავ გომულკამ.

სასადილოდ შესვენების შემდეგ ამხ. ს. ენდრიხოვსკიმ პლენუმს წარუდგინა ინფორმაცია ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთავრობის იმ კანონის პროექტის ცვლილებათა შესახებ, რომელიც დასახულია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებებში. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა პ. იაროშევიჩმა, ლ. ვუდსკიმ, ტ. კრუპინსკიმ, ბ. რუმინსკიმ.

პლენუმმა შექმნა კომისიები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ წინადადებანი და შესწორებანი გადაწყვეტილებათა პროექტებისათვის, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ წარადგინა. პარტიის აქტუალური პოლიტიკური ამოცანების საკითხზე გადაწყვეტილებათა პროექტში წინადადებათა და შესწორებათა შემმუშავებელ კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები რ. ზამბროვსკი, ა. რაპაკკი, ე. მოროვსკი, ვ. იაროსინსკი, მ. ნაშკოვსკი, ი. ოლშევსკი, ზ. კლიშკო, ე. იავორსკაია, ს. ვერბლანი, რ. გრენოსი, ა. სტარეევიჩი. აქტუალური ეკონომიური საკითხების შესახებ გადაწყვეტილების პროექტში წინადადებათა და შესწორებათა შემმუშავებელ კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები ს. ენდრიხოვსკი, ე. გერეკი, ი. ლოგა-სოვინსკი, ი. კოლე, ო. ლანგე, მ. იაგელსკი, ბ. რუმინსკი, მ. პოპელი, ლ. კასმანი, ე. იაროშევიჩი.

21 ოქტომბერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და მისი კომისიები მუშაობას განაგრძობენ".

ვარშავა, 22 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ვარშავაში დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი. პლენუმმა მიიღო ვადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ წარმოადგინა.

პლენუმმა აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით: ვ. გომულკა, ს. ენდრიხოვსკი, ა. ზავადსკი, რ. ზამბროვსკი, ი. ლოგა-სოვინსკი, ე. მოროვსკი, ე. ოხაბი, ა. რაპაკკი, ი. ცირანკევიჩი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულია ამხანაგი ვ. გომულკა.

პლენუმმა აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ე. ალბრეხტი, ე. გერეკი, რ. ზამბროვსკი, ვ. გომულკა, ვ. მატვინი, ე. ოხაბი და ვ. იაროსინსკი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდთ, გუშინ უშიშროების საბჭო შეუდგა იორდანიის საჩივრის განხილვას ისრაელის მხრივ ამასწინანდელი აგრესიული მოქმედების გამო და, კერძოდ, იორდანიის საზღვრისპირა სოფლებზე ისრაელის შეიარაღებული ძალების თავდასხმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა 25 სექტემბერს და 10 ოქტომბერს.

სხდომაზე პირველმა ილაპარაკა იორდანიის წარმომადგენელმა რიფაიმ. მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უშიშროების საბჭოს უკვე არაერთხელ განუხილავს ისრაელის აგრესიული მოქმედების საკითხი მისი მეზობელი სახელმწიფოების და, კერძოდ, იორდანიის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს მიუღია რეზოლუციები, რომლებიც გმობენ ისრაელის მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ისრაელის აგრესიული მოქმედება გრძელდება და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ახლო აღმოსავლეთში.

იორდანიის წარმომადგენელმა გაიხსენა იორდანიის ტერიტორიაზე ისრაელის შეიარაღებული ძალების შეჭრის მთელი რიგი შემთხვევები, რომელთა შედეგად დაიღუპა ბევრი იორდანიელი მოქალაქე, დანგრეულია მათი სახლები, სკოლები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. იორდანიის ტერიტორიაზე ისრაელის შეიარაღებული ძალების ყველაზე დიდი შეჭრა მოხდა 25 სექტემბერსა და 10 ოქტომბერს. 25 სექტემბერს ისრაელის ჯარები 2.000 კაცის რაოდენობით თავს დაესხნენ იორდანიის სოფლებს ვადი-ფუკინსა და ხუსასს. ისინი მოქმედებდნენ ტანკების, მძიმე არტილერიისა და ავიაციის დახმარებით. ორი კვირის შემდეგ, 10 ოქტომბერს, ისრაელის უფრო დიდი ძალები კვლავ დაესხნენ თავს იორდანიის ტერიტორიას, დიდი ნგრეკა მოახდინეს ქალქ ქალკილიასა და სოფლებში ხაბლაში, სუფინში, ჯაუსში, ხაბი ილიასში.

ისრაელის შეიარაღებული ძალების ეს თავდასხმები, განაცხადა რიფაიმ, ხდება თითქოს როგორც საპასუხო ღონისძიებანი, თუმცა ნამდვილად, და ამას ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაზავების სამეთვალყურეო ორგანოს გამოკვლევა, ასეთი მოქმედების საბაბი არ ყოფილა. რიფაიმ საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ისრაელი უარს ამბობს ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაზავების სამეთვალყურეო ორგანოსთან სასაზღვრო ინციდენტების გამოსაკვლევად წარმოებულ მის მუშაობაში. ამრიგად, განაცხადა იორდანიის წარმომადგენელმა, ისრაელმა, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ შეჭრას იორდანიის ტერიტორიაზე და უარს ამბობს ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოსთან, არარაობად აქცია შეთანხმება იორდანიასა და ისრაელს შორის დაზავების შესახებ.

იორდანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მოქმედება დაკავშირებულია ცდებთან შეასუსტონ არაბთა ქვეყნების გაერთიანებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სუეცის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა. არ შეიძლება აგრეთვე არ დავინახოთ, განაცხადა იორდანიის წარმომადგენელმა, რომ ისრაელი ცდილობს სარგებლობა ნახოს გარკვეულ სახელმწიფოთა პოლიტიკიდან, რომლებიც დაინტერესებული არიან პალესტინის პრობლემით.

იორდანიის წარმომადგენელმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს მიიღოს ქმედითი ღონისძიებანი, რათა ისრაელმა შეწყვიტოს აგრესიული პოლიტიკა და მოქმედება თავის მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მან სთხოვა საბჭოს შეუფარდოს ისრაელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 41-ე მუხლი, რომელიც მშვიდობისა და უშიშროების დამრღვევი ქვეყნის მიმართ ითვალისწინებს სხვადასხვა სანქციას, რომლებიც დაკავშირებული არ არის შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან.

შემდეგ ილაპარაკა ისრაელის წარმომადგენელმა კიდერომმა. იგი დასჯერდა იმას, რომ უბრალოდ უარყო ისრაელის დანაშაული იორდანიის ტერიტორიაზე მისი შეიარაღებული ძალების თავდასხმებში, ამტკიცებდა რა, რომ ყველაფრის მიზეზი თითქოს იყოს იორდანიის პოლიტიკა ისრაელის მიმართ.

ინგლისის წარმომადგენელმა დიკსონმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ, როგორც მან თქვა, გაუარესდა იორდანია-ისრაელის ურთიერთობა, და უფლება დაიტოვა საკითხის არსის შესახებ გამოვიდეს საბჭოს მუშაობის უფრო გვიან სტადიაზე.

ირანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იორდანიის წინააღმდეგ ისრაელის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მოქმედება სრულიად არაპროვოცირებული აშკარა აგრესიაა. ისრაელის ასეთ მოქმედებას, თქვა მან, კიდევ უფრო ართულებს ისრაელის უარი ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოსთან, რომელსაც აკისრია ორ სახელმწიფოს შორის დაზავების მეთვალყურეობა.

უშიშროების საბჭო, განაცხადა ირანის წარმომადგენელმა, სერიოზული მდგომარეობის წინაშეა, რომელიც შეიქმნა იორდანია-ისრაელის საზღვარზე, და ამჟამად უნდა განიხილოს შესაბამისი ღონისძიებანი ამ რაიონში წესრიგისა და უშიშროების დასაცავად.

მან ის აზრი გამოთქვა, რომ საბჭომ განაგრძოს იორდანიის საჩივრის განხილვა შემდეგი კვირის დამდეგს.

შემდეგ წინასწარი შენიშვნები გააკეთა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა. მან აღნიშნა, რომ ისრაელის მხრივ აგრესიული მოქმედება, რაც ამ უკანასკნელ ხანს მოხდა, მოწმობს, რომ სერიოზულად გაუარესდა ისრაელისა და იორდანიის ურთიერთობა სადემარკაციო ხაზის რაიონში.

არსებული მონაცემები უცილობლად მოწმობენ, რომ ისრაელი განზრახ არღვევს იორდანიასთან დაზავების შეთანხმებას, უშიშროების საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მოლაპარაკების დროს ნაკისრ ვალდებულებებს, რომელიც წარმოებდა უშიშროების საბჭოს 1956 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ისრაელ-იორდანიის სადემარკაციო ხაზზე შექმნილი სერიოზული ვითარება, რომელიც ადვილად შეიძლება შუა აღმოსავლეთში მშვიდობის საფრთხედ გადაიქცეს, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, მოითხოვს უშიშროების საბჭოს ენერგიულ ჩარევას. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭომ უაღრესად სერიოზულად დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს იორდანიის საჩივარი, რათა განხორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც ბოლოს მოუღებენ ისრაელის მხრივ დაზავების შეთანხმებათა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა სისტემატურ დარღვევას.

ახლანდელ დაძაბულ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა შემდეგში არ დავუშვათ ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მშვიდობის საქმისათვის საშიში მდგომარეობა.

ამით დამთავრდა საბჭოს სხდომა. უშიშროების საბჭო განაგრძობს იორდანიის საჩივრის განხილვას შემდეგი კვირის დამდეგს. საბჭო განიხილავს აგრეთვე ისრაელის საჩივარს იორდანიისადმი, რომელიც უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილია ისრაელის დელეგაციის 17 ოქტომბრის წერილის საფუძველზე.

„ტუ-104" რანგუნში ჩავიდა

რანგუნი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე რანგუნში ჩამოვიდა საბჭოთა რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104".

თვითმფრინავმა დაამთავრა საცდელი ფრენა მოსკოვ-ტაშკენტ-დელი-რანგუნის მარშრუტით. მთელი გზა მოსკოვიდან რანგუნამდე მან გაიარა 9,5 საათში (გაჩერებათა დროის ჩაუთვლელად). მანძილი დელიდან რანგუნამდე თვითმფრინავმა გაიარა 3 საათსა და 15 წუთში.

„ობსერვერი" ინგლისში დიდი თეატრის საბალეტო დასის გასტროლების შესახებ

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ობსერვერმა" გამოაქვეყნა თეატრალური კრიტიკოსის ალექსანდრე ბლენდის დიდი სტატია, მიძღვნილი ლონდონში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სამალეტო დასის გასტროლებისადმი.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა ბალეტრენას საფუძვლად უდევს რეალიზმის პრინციპები, სტატიის ავტორი წერს: „ამან მკაფიოდ იჩინა თავი იმ სპექტაკლებში, რომლებიც ჩვენ ვნახეთ. ამას მოწმობს დადგმის ყველა დეტალი, მსახიობთა უშუალობა სცენაზე და თვით ცეკვის მანერა".

აღნიშნა რა ულანოვისა და თამარაშის მაღალი დონე, ბლენდი წერს, რომ საბჭოთა მსახიობებს აქვთ „ბუნებრივი თავისუფალი სტილი და უაღრესი სიხალისე".

მოღალატეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები საქართველოში

საქართველოში ათ დღეს იყო მოლდავეთის სსრ რომანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ჯგუფი 14 კაცის შემადგენლობით. ისინი ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. ჯგუფში იყვნენ კოლმეურნეები, მტს-ის მუშაკები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. დელეგაციის მეთაურობდა პარტიის რომანოვკის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე პ. სტეპანცევი.

ამ ხანში მოლდაველმა სტუმრებმა ინახულეს ორ რაიონში — ადიგენისა და ყვარლის რაიონებში. ადიგენის რაიონში მათ დაათვალიერეს ადგილობრივი რძისა და ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობა, გაეცნენ ადიგენის მტს-ის მუშაობას, კახარეთის საკოლმეურნეო ჰესის მშენებლობას.

სოფელ არალში სამუშაო დღის შემდეგ გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც სტუმრებს მიესალმნენ კეციხოვლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. გიგოლაშვილი და ამავე არტელის ბრიგადირი ლ. ბითოშვილი. სტუმრების სახელით გამოვიდა კალინინის სახელობის არტელის თავმჯდომარე გ. ცარანი. მან ქართველ კოლმეურნეებს უამბო, თუ რა წარმატებები აქვთ მოლდავეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რომანოვკელებმა ბევრი საინტერესო რამ ნახეს ყვარლის რაიონში. მეგენახეობა რომანოვკის რაიონის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამიტომ ყვარლის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სტუმრებს აინტერესებდათ მოსავლიანობისა და შემოსავლის ზრდა, ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკა, საუკეთესო მეგენახეთა მუშაობის მოწინავე ხერხები.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მარანი, სადაც მათ უჩვენეს „ქინძმარაულის" ღვინის დაყენების ტექნოლოგია. სოფლების ახალსოფლისა და შილდის კოლმეურნეობებში დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის მოეწი რიგი დარგების განვითარების საკითხებით.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს „ბელოსის ახალშენებანი და ღირსშესანიშნაობანი.

რომანოვკელებმა ადიგენისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეები სტუმრად მიიწვიეს. (საქდესი).

სპორტის ამბები

სურათზე: ფინელი ფეხბურთელები თბილისის აეროდრომზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფინელი ფეხბურთელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ფინეთის კლუბის „ვაასან პალლოსეურას" კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი. სტუმრებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებმა მათ თაიგულები უძღვნეს.

24 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. ფინელი ფეხბურთელები შეხვდებიან თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდს.

საერთაშორისო შეხვედრა პარიზში

საფრანგეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივების 21 ოქტომბრის საერთაშორისო ამხანაგური მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა.

ბილეთები „კოლომბის" სტადიონზე დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

პირველი ტაიმი ალინშნა ტემპიანი და მძაფრი ბრძოლით, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ფრანგმა ფეხბურთელებმა პირველი ბურთი გაიტანეს, შემდეგ კი მაღე — მეორე. ამის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ერთ-ერთი ხელსაყრელი მომენტი 65-ე წუთზე დამთავრდა ისაევის დარტყმით და გოლით.

მატჩი დამთავრდა საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივის გამარჯვებით 2:1.

საერთაშორისო ფეხბურთი ინდოეთსა და ინგლისს შორის

ბანგალორი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ნაკრები ინგლისელ ფეხბურთელებს ბანგალორში ორ მატჩს ათამაშებს. ინდოელ ფეხბურთელებს ინგლისელ ფეხბურთელებთან ერთად ასპარეზზე ეჯიბრებიან ინდოეთის ეროვნული ნაკრების ორ ნაკრებ-ეკიპაჟი.

სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასი

ლენინგრადი. 21 ოქტომბერი. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა" და კიევის „დინამოს" გუნდები. გამარჯვება „ზენიტმა" 5:1.

სტალინო. 21 ოქტომბერი. აქ შედგა მოსკოვის „ლოკომოტივისა" და სტალინოს „შახტიორის" ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ლოკომოტიველები დამარცხდნენ 0:1.

სევერდლოვსკი. 21 ოქტომბერი. თბილისის „დინამოსა" და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდებმა პირველობის გათამაშების უკანასკნელი მატჩი გამართეს სვერდლოვსკში. გამარჯვება ამოიღო ფეხბურთელებმა 4:2.

სსრ კავშირის 1956 წლის პირველობის გათამაშების დამთავრებამდე ორი მატჩი დარჩა.

კიდევ ორი ქულა

21 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა „ბ" კლასის მეორე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების იეევსკის „ზენიტისა" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდების „მორიგი მატჩი.

პირველ ტაიმში თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ, თავდამსხმელები პირისპირ გადიოდნენ მეკარესთან, კარი ღიად რჩებოდა, მაგრამ ბურთის გატანა ვერ მოხერხდა.

მძაფრი სპორტული ბრძოლა მეორე ტაიმშიც არ შენელებულა.

მე-17 წუთზე თბილისელებმა მარჯვენა ფრთიდან ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც მელაშვილის ძლიერი დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა. პირველ მარცხს სტუმრებმა კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოუცია. 29-ე წუთზე „ზენიტის" კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა, რომელიც ნორაკიძემ გაიტანა.

ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

საჯაჩო ლექცია

23 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) შედგება კონსულტაცია დილეტანტური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე. კონსულტანტი — დოცენტი ი. შარაშენიძე.

ქონსულტაცია

23 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში (ლენინის ქ. № 35) შედგება კონსულტაცია დილეტანტური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე. კონსულტანტი — დოცენტი ი. შარაშენიძე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაბიკიძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

დაფარვის მე-2 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 15 ოქტომბერს ქალაქ კალინინში. დაფარვის ტირაჟში გავიდა ორმოცდაათივე ნომერი ობლიგაციებისა (№ 01-დან № 50-მდე) სესხის თვითეული თანრიგის შემდეგ სერიებში:

სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №
080089	081582	083622	085308	086865	089022	090224	091817	093030	094618	096379	098015
080118	081610	083629	085397	086917	089169	090282	091862	093209	094627	096396	098063
080128	081645	083763	085451	086945	089177	090341	091879	093241	094630	096415	098068
080195	081658	083791	085478	086977	089185	090347	091906	093259	094720	096455	098085
080198	081672	083928	085550	086980	089192	090362	091975	093304	094743	096564	098097
080218	081723	083952	085637	087092	089238	090390	092019	093318	094784	096719	098166
080232	081757	083958	085739	087095	089239	090415	092062	093350	094825	096749	098237
080236	081762	083962	085752	087178	089268	090501	092104	093374	094847	096777	098337
080248	081821	083970	085753	087238	089278	090556	092171	093408	094875	096807	098478
080272	081836	083993	085771	087284	089291	090558	092214	093421	094921	096817	098479
080277	081955	084019	085841	087472	089362	090573	092223	093423	094946	096822	098493
080336	082020	084053	085849	087482	089435	090595	092256	093487	095049	096875	098522
080388	082024	084175	085904	087516	089436	090639	092262	093527	095069	096925	098550
080432	082117	084219	085906	087524	089470	090780	092294	093541	095102	096942	098654
080503	082129	084246	085952	087638	089478	090871	092318	093597	095104	096976	098664
080560	082198	084330	085955	087732	089498	090878	092349	093678	095125	096979	098680
080574	082237	084378	086007	087734	089515	090906	092363	093682	095134	097044	098756
080576	082289	084386	086106	087752	089556	090963	092374	093720	095146	097146	098880
080608	082301	084388	086150	087820	089593	090966	092409	093722	095147	097184	098902
080622	082349	084435	086173	087837	089604	091008	092424	093798	095167	097250	098955
080671	082422	084468	086192	087897	089639	091095	092445	093861	095182	097315	098969
080686	082531	084513	086198	087913	089647	091097	092482	093881	095230	097338	098971
080778	082563	084526	086242	088052	089684	091117	092513	093918	095307	097357	099084
080829	082595	084608	086287	088134	089745	091129	092664	093930	095340	097383	099119
080838	082631	084693	086290	088149	089767	091135	092666	094005	095504	097437	099173
080863	082691	084699	086299	088163	089772	091140	092669	094079	095543	097460	099279
080921	082775	084751	086328	088170	089830	091143	092685	094091	095568	097505	099290
080936	082811	084758	086332	088263	089853	091221	092692	094119	095596	097593	099318
080983	082875	084790	086346	088325	089855	091243	092733	094124	095688	097611	099412
081160	082881	084815	086352	088356	089906	091335	092770	094130	095711	097634	099560
081200	083192	084869	086371	088357	089925	091338	092828	094157	095905	097678	099561
081203	083201	084891	086435	088363	089934	091383	092843	094172	096065	097692	099572
081213	083225	084897	086545	088461	089938	091393	092853	094200	096080	097785	099604
081266	083247	084932	086622	088629	089946	091435	092861	094233	096178	097790	099633
081293	083270	084947	086627	088684	089951	091465	092940	094285	096255	097818	099651
081311	083327	085003	086637	088738	089987	091615	092944	094296	096267	097830	099670
081318	083376	085051	086653	088828	089998	091638	092957	094320	096268	097855	099724
081377	083379	085110	086700	088882	090097	091724	092967	094344	096285	097893	099732
081457	083407	085148	086711	088931	090107	091781	092970	094538	096309	097894	099747
081509	083507	085194	086760	088960	090120	091785	093010	094552	096317	097899	099808
081516	083526	085201	086785	088963	090156	091794	093014	094599	096321	097983	099965
081528	083555	085305	086797	088973	090191	091804	093027				

დაფარვის ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — კალინინის მშრომელთა დეპუტატების საოლქო სახლის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ა. დემირსკი.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. პ. ლეპენდინი.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 24 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან, 12.15 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, 12.45 — ნ. ნარიმანიძის საცეკვაო სუიტა, 17.20— ნაწყვეტები დარგომიჟსკის ოპერა „ალიდან", 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ტურისტის შთაბეჭდილებები „ოთხი დღე ბულგარეთში", 19.20 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — უკრაინული ხალხური სიმღერები, 20.30 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 საუბარი: „რას სწავლობს პოლიტიკური ეკონომია", 21.20 — კონცერტი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 22.15 — ლიტერატურული გადაცემა ა. ბეიშვილის მოთხრობიდან „არიადნას მეჯლისი" (დასასრული), 22.45 — სუიტა მ. დავითაშვილის ბალეტიდან „მზის ქორწილი".

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — კალინიკოვის პირველი სიმფონია, 21.45 — ლიტერატურული გადაცემა — ფროლოვის ნარკვევი „ახალი მისამართი", 22.15 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო, **რუსთაველის სახელობის** — ლერწამი ქარში, **გრიბოედოვის სახელობის** — მარადიული სიყვარული, **სომხური დრამის** — დაქცეული ოჯახი, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (1 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (აბონემენტი № 12, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ჭკუა და გამოცდილება (10 ს. და 4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ალუმინემორტყმული ცხენები, **ოქტომბერი, ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — კარუსელი, **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — ორმოცდამეერთე, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — სხვადასხვა ბედი, **თბილისი** — ბატონი 420 (I და II სერია), **კომკავშირელი** — ახალგაზრდა კარუზო, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — უდანაშაულო დამნაშავენი, **ისანი** (საზაფხულო) — მეორე სიჭაბუკი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — დაკარგული სამოთხე, **დიდუბე** (საზამთრო) — ყალბი ფული (I და II სერია), **დიდუბე** (საზაფხულო) — აფეთქება ღამით, **ქრონიკა** — თეთრი პუდელი.

თბილ